

ალფა ფეტოპროტეინი AFP

ალფა ფეტოპროტეინი სინთეზირდება ჩანასახის ღვიძლის მიერ და წარმოადგენს ჩანასახის მთავარ გლიკოპროტეინს. მისი სინთეზი დაბადებისთანავე წყდება.

რატომ კეთდება AFP -ის ტესტი ?

- ტესტი კეთდება ორსულ ქალებში ნაყოფის ზოგიერთი დაავადების სასკრინინგოდ.
- ტესტი გამოიყენება ონკოლოგიური დაავადებების როგორც სადიაგნოსტიკოდ, ასევე მკურნალობის ეფექტურობის შესაფასებლად.
- ტესტი გამოიყენება ღვიძლის დაავადებების სადიაგნოსტიკოდ.

როგორ მოვემზადოთ ანალიზისთვის და რა არის საჭირო ანალიზის გასაკეთებლად?

სპეციალური მომზადება საჭირო არ არის. ანალიზის გასაკეთებლად საჭიროა ვენური სისხლი.

რას ნიშნავს მომატებული AFP ?

AFP -ის მაღალი დონე შეიძლება გამოწვეული იყოს შემდეგი მიზეზებით:

- ღვიძლის ციროზი
- საკვერცხეების კიბო
- ავთვისებიანი ტერატომა
- სათესლე ჯირკვლების კიბო
- ღვიძლის კიბო
- სანაღვლე გზების კიბო
- პანკრეასის კიბო

ორსულებში AFP-ს დონე უნდა შეესაბამებოდეს გესტაციურ ასაკს. გესტაციური ასაკის მატებასთან ერთად AFP მატულობს. მომატებული AFP-ის ყველაზე ხშირი მიზეზი არის უზუსტობა გესტაციური ასაკის დადგენისას. მომატებული AFP-ის შემთხვევაში პირველ რიგში უნდა დაზუსტდეს გესტაციური ასაკი.

ორსულობისას AFP-ს მომატებას იწვევს შემდეგი ნაყოფისმხრივი მიზეზები:

- ტყუპები
- ანენცეფალია

- დუოდენალური ატრეზია
- სპინა ბიფიდა
- ომფალოცელე

რას ნიშნავს დაბალი AFP ?

დაბალი AFP-ის ყველაზე ხშირი მიზეზი არის უზუსტობა გესტაციური ასაკის გამოთვლისას. დაბალი AFP შემთხვევაში პირველ რიგში უნდა დაზუსტდეს გესტაციური ასაკი.

AFP დაკლებას იწვევს ნაყოფის შემდეგი პათოლოგიები:

- ნაყოფის სიკვდილი
- დაუნის სინდრომი
- სპონტანური აბორტი

კიდევ რა დასახელებით შეიძლება შეგვხვდეს?

ჩანასახის ალფა გლობულინი

საჭირო ინფორმაცია

მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ ორსულებში ალფა ფეტოპროტეინი არის სკრინინგ ტესტი და არა სადიაგნოსტიკო საშუალება. მაღალი ან დაბალი დონის შემთხვევაში აუცილებელია დამატებითი კვლევები.